ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 129

"13" მაისი 2016 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - ,,თბილისი"- ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N128 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - ,,თბილისი"- ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N128 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) კონკურსის ჩატარების, ნამუშევრების შეფასებისა და გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით, შესაბამისი დარგის კომპეტენტური და ავტორიტეტული წარმომადგენლების შემადგენლობით დგება ჟიური. ჟიურის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 7 (შვიდი) წევრით.

ბ) პირველი პუნქტის „კ.გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ.გ) წლის საუკეთესო ესსე (სკოლის მოსწავლეთათვის);"

გ) პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) კონკურსის ჩატარების ეტაპებია :

ლ.ა) I ეტაპი - კონკურსის გამოცხადება, განაცხადების შევსება და საკონკურსო ნამუშევრების წარდგენა;

ლ.ბ) I I ეტაპი - ჟიურის მიერ ნამუშევრების გაცნობა და შეფასება ნომინაციების მიხედვით;

ლ.გ) I I I ეტაპი - ერთი გამარჯვებულის გამოვლენა თითო ნომინაციაში;

ლ.დ) IV ეტაპი - გამარჯვებულების დაჯილდოება „თბილისობის“ ღონისძიებების ფარგლებში.“

დ) განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ[1]“ პუნქტი:

„ლ[1]“) კონკურსის ეტაპების ვადები და ნომინაციის ,,წლის საუკეთესო ესსე (სკოლის მოსწავლეთათვის)“ თემატიკა ყოველწლიურად განისაზღვროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**